04/04/2021

ჯვრის თაყვანისცემის კვირა

მე ნამდვილად არ შევეხებოდი ახლა ამ თემას, ეს რომ იყოს უშუალოდ ვიწრო, ეპარქიის პრობლემა, რადგან ჩემი გამოხმაურებით არ ჩავერეოდი სხვა ეპარქიის შიდა საქმეებში, იმ იმედით, რომ ადგილობრივი პრობლემაა და ადგილზე მოგვარდება ეს, მაგრამ ჩვენ, ყველა ვხვდებით, რომ ეს პრობლემა და მისი ფესვები ბევრად უფრო ფართომასშტაბიანია, ასე გამოეხმაურა ფოთისა ხობის მიტროპოლიტი მეუფე გრიგოლი ჭყონდიდის ეპარქიაში განვითარებულ მოვლენებდ საკათედრო ტაძარში საკვირაო წირვის შემდეგ ქადაგებისას.

მისი თქმით, როგორც ცოდვების მიმართ წაყრუება, ასევე სადამსჯელო ღონისძიებების იმედად ყოფნა საფრთხის შემცველია ეკლესიისთვის.

“მარხვის პერიოდი ძალიან მძიმე ფონზე მიმდინარეობს. ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს სხვადასხვა ტელევიზიაში, მათ სიახლეებში, ნიუსებში, პირველ ადგილზე დგას ჭყონდიდის ეპარქიაში მიმდინარე მოვლენები. ამაზე ლაპარაკობს ყველა და ამაზე მსჯელობს, ამაზე სწუხს ეკლესია ანუ თითოეული თქვენგანი, თითოეული ჩვენგანი, ეს ჩვენი ტკივილია! მე ნამდვილად არ შევეხებოდი ახლა ამ თემას, ეს რომ

იყოს უშუალოდ ვიწრო, ეპარქიის პრობლემა, რადგან ჩემი გამოხმაურებით არ ჩავერეოდი სხვა ეპარქიის შიდა საქმეებში, იმ იმედით, რომ ადგილობრივი პრობლემაა და ადგილზე მოგვარდება ეს, მაგრამ ჩვენ, ყველა ვხვდებით, რომ ეს პრობლემა და მისი ფესვები ბევრად უფრო ფართომასშტაბიანია, ვიდრე ეპარქიის საზღვრებმა შეიძლება დაიტიოს. ამ შემთხვევაში, მე ვფიქრობ, როგორც საერთოდ ცოდვების მიმართ წაყრუება არის ძალიან დიდი რისკების შემცველი საეკლესიო ცხოვრებაში, ასევე, სადამსჯელო ღონისძიებების იმედად ყოფნა არანაკლები სიმძიმეების მომტანია და არანაკლები საფრთხის შემცველი არის ეკლესიისთვის, რადგან ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, მცირერიცხოვანი ერი ვართ, შესაბამისად ეს ეკლესია არ არის მხოლოდ წმინდა რელიგიური შინაარსის ინსტიტუცია, თუ შეიძლება, ასე ვიხმაროთ ეს სიტყვა, არამედ ეკლესია არის ფუძემდებლური ინსტიტუტი ქართული სახელმწიფოებრიობისა, ისტორიულად ასე ჩამოყალიბდა. ამ ისტორიას ჩვენ ზურგს ვერ შევაქცევთ, ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს განსხვავებით სხვადასხვა ეკლესიისგან, სხვადასხვა დიდი სახელმწიფოსგან, სადაც არა თუ ერთი, არამედ მრავალ მიმდინარეობად არის ეკლესიები დახლეჩილი და არ უნდა დავუშვათ, რომ ეკლესია გაიხლიჩოს, არ უნდა შევქმნათ იმის პრეცედენტი, რომ გაჩნდეს პარალელურად მიმდინარეობები, სადაც ჩვენ დავინახავთ იერარქიას, რომელსაც, მერე, გინდა კანონიერი დაარქვი და გინდა, უკანონო,“- განაცხადა მეუფე გრიგოლმა. მიტროპოლიტი ყველას ლოცვისკენ მოუწოდებს. მისი თქმით, ქვეყანა მძიმე გამოწვევების წინაშე დგას. მისივე თქმით, საფრთხე ემუქრება იმ მონაპოვარს, რისთვისაც ჩვენი წინაპრები იბრძოდნენ.

,,ჩვენ საქმე გვაქვს ჩვენს სულიერ შვილებთან, ჩვენს ძმებსა და დებთან! მე ვფიქრობ, რომ დღეს ის პროცესი მიმდინარეობს, რასაც კანონიკურ სივრცეში სჭირდება დაბრუნება!მე მინდა გთხოვოთ ყველას, რომ ვილოცოთ! ვილოცოთ, რომ ეკლესია დამშვიდდეს! ვილოცოთ, რომ ამ სიმშვიდემ ჩვენ მოგვიტანოს ერთობა და სულიერი ძალები შეგვმატოს და არ დაგვაშოროს, არ დაგვათითოკაცოს... რამდენს გაუძლებს ჩვენი ხალხი და ჩვენი ქვეყანა, ძნელი სათქმელია. ძალიან მძიმე გამოწვევების წინაშე ვდგავართ. მძიმე საფრთხის წინაშე დგას ის მონაპოვარი, რისთვისაც ოცნებობდნენ ჩვენი წინაპრები, რისთვისაც იბრძოდნენ, სიცოცხლეს არ იშურებდნენ. ჩვენ ვხედავთ, რომ ძალიან ბევრი საკითხი ეკლესიასთან მიმართებაში და არა მარტო ეკლესიასთან მიმართებაში ისტორიული კონტექსტიდან ამოგლეჯილად განიხილება, რაც ამახინჯებს მოვლენების შინაარსს და ბუნებრივია დამახინჯებულად წარმოჩენილი შინაარსი არასწორად ანალიზისკენ უბიძგებს ადამიანს და შესაბამისად არასწორი დასკვნები კეთდება, რომელიც ზიანის მომტანი უფროა, ვიდრე ამ რთული ვითარებიდან გამოსავალი...ქრისტიანობა, ეს არის ჯვარცმულისადმი მიმდევრობა, მისი თაყვანისცემა, მაგრამ ქრისტიანობა გონიერებაც არის ასევე”, – განაცხადა ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა გრიგოლმა.

— ipn.ge